ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

# გადაწყვეტილება №3357057

ნომერი: AR1515759

თარიღი : 20.06.2017

გაცემის თარიღი : 04.07.2017

გაცნობის თარიღი : 06.07.2017

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა მცხეთა , N 48-50 / ქალაქი თბილისი , ქუჩა მარუხის გმირები , N 8 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ირინა გოგელია პ/ნ 01017016021
- თბილისი ი.ნიკოლაძის ქ. N 6

ნომენკლატურა :

- საჯარო ინფორმაციის გამოთხოვა
- შეტყობინება არქიტექტურულ ობიექტზე

## გადაწყვეტილება

სამსახურმა განიხილა თქვენი #AR1515759 ელექტრონული განაცხადი, რომლითაც ეწინააღმდეგებით ქ.თბილისში, მცხეთის ქუჩა #48-50/ მარუხის გმირების ქუჩა #8-ში, #01.14.11.041.026 საკადასტრო ერთეულზე მესამე ბლოკის არქიტექტურული პროექტის შეთანხმებას, ასევე ითხოვთ დოკუმენტაციას და ადმინისტრაციულ წარმოებაში დაინტერესებულ მხარედ ჩართვას.

პასუხად გაცნობებთ, რომ თქვენი #AR1508033 ელექტრონული განაცხადის საფუძველზე, რომლითაც ითხოვდით #AR1502863 ელექტრონულ განაცხადზე მიღებული გადაწყვეტილების და თანდართული დოკუმენტაციის ასლებს, გამოგეგზავნათ სამსახურის 2017 წლის 22 მაისის #3274493 (#AR1502863) გადაწყვეტილების და თანდართული სრულყოფილი  დოკუმენტაციის ასლები.

ამასთან გაცნობებთ, რომ 2017 წლის 19 ივნისს #AR1515677 ელექტრონული განცხადებით სამსახურს მომართა მოქალაქე აბესალომ შავგულიძემ და მოითხოვა ქ.თბილისში, #01.14.11.041.026 საკადასტრო ერთეულზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის III ბლოკის არქიტექტურული პროექტის შეთანხმება, წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად, #3369605 გადაწყვეტილებით სამსახურის მიერ მასში გამოვლინდა გარკვეული სახის ხარვეზები, რის გამოც ამ ეტაპზე აღნიშნული ნებართვის გაცემა არ მომხდარა.

თქვენი შეტყობინება სამსახურში მიღებულია ცნობის სახით და წარმოების განახლებისა და საჭიროების შემთხვევაში იქნებით ინფორმირებული.

დამატებით გაცნობებთ, რომ აღნიშნული ობიექტის სამშენებლო განვითარებასთან დაკავშირებით თვალყურის დევნება შეგიძლიათ სამსახურის ვებ-გვერდის (www.tas.ge) მეშვეობით, ინტერაქტიულ რუკაზე საპროექტო ფენის ჩართვის და ძიებაში დაინტერესებაში არსებული მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდის (01.14.11.041.026) მითითების შემთხვევაში.